

# ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

## პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და სხვა ხელმომწერნი,

იხსენებენ ადამიანის უფლებების დაცვისა და ფუნდამენტური თავისუფლებების კონვენციას (ETS №5, 1950) და მის ოქმებს, ევროპის სოციალურ ქარტიას (ETS №35, 1961, გადასინჯული 1996 წელს, ETS №163), ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (CETS №197, 2005) და ევროპის საბჭოს კონვენციას სექსუალური ექსპლოატაციისაგან და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (CETS №201, 2007);

იხსენებენ მინისტრთა კომიტეტის შემდეგ რეკომენდაციებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიმართ: რეკომენდაცია Rec(2002)5 ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ, რეკომენდაცია CM/Rec.(2007)17 გენდერული თანასწორუფლებიანობის სტანდარტებისა და მექანიზმების შესახებ, რეკომენდაცია CM/Rec(2010)10 კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებაში და მშვიდობის შენებაში ქალების და მამაკაცების როლის შესახებ და სხვა შესაბამის რეკომენდაციებს;

ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევენციული სამართლის განვითარებას, რომელიც ადგენს მნიშვნელოვან სტანდარტებს ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში;

უწევენ ანგარიშს საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966), საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966), გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW, 1979) და მის ფაკულტატიურ ოქმს (1999), ასევე CEDAW-ის კომიტეტის №19 საერთო რეკომენდაციას ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ (1989) და მის ფაკულტატიურ ოქმებს (2000) და გაეროს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ (2006);

უწევენ ანგარიშს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებს (2002);

იხსენებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად პრინციპებს და, განსაკუთრებით, ჟენევის კონვენციას (IV) ომის დროს სამოქალაქო პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (1949) და ამ კონვენციის I და II დამატებით ოქმებს (1977);

გმობენ რა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმას;

აღიარებენ, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის *de jure* და *de facto* თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა არის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი;

აღიარებენ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენა, რამაც მიგვიყვანა მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე და ხელი შეუშალა ქალების სრული თანასწორუფლებიანობის განხორციელებას;

აღიარებენ ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას და იმას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან, დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა;



დიდი გულისტკივილით აღიარებენ, რომ ქალები და გოგონები ხშირად განიცდიან ისეთი სერიოზული ფორმების ძალადობას, როგორცაა ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, ეგრეთ წოდებული „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაული და სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რაც წარმოადგენს ქალებისა და გოგონების ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას და ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში;

აღიარებენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებათა დარღვევების მუდმივად არსებობას, რის გამოც იჩაგრება სამოქალაქო მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ქალები, რომლებიც განიცდიან ფართოდ გავრცელებულ, სისტემატურ გაუპატიურებას ან სექსუალურ ძალადობას, ასევე, გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის ალბათობის ზრდას როგორც კონფლიქტების დროს, ასევე მათ შემდეგ;

აღიარებენ, რომ ქალები და გოგონები იმყოფებიან მათ მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის ჩადენის უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე მამაკაცები;

აღიარებენ, რომ ოჯახში ძალადობის დროს გაცილებით ხშირად იჩაგრებიან ქალები და რომ მამაკაცებიც შეიძლება გახდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი;

აღიარებენ რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან ბავშვები, მათ შორის, როგორც ოჯახში ძალადობის მოწმეები;

ისწრაფვიან ისეთი ევროპის შექმნისკენ, რომელიც თავისუფალი იქნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისაგან,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## **თავი I. მიზნები, განმარტებები, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა, ზოგადი ვალდებულებები**

### **მუხლი 1. კონვენციის მიზნები**

#### **1. კონვენციის მიზნებია:**

ა. დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან და აღკვეთოს, სისხლისსამართლებრივად დევნოს და აღმოფხვრას ძალადობა ქალების მიმართ და ოჯახში ძალადობა;

ბ. ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორუფლებიანობის ჩამოყალიბებას, მათ შორის, ქალებისთვის მეტი შესაძლებლობების მიცემის გზით;

გ. შეიმუშაოს კომპლექსური ჩარჩოები, პოლიტიკური კურსი და ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად;

დ. ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით;

ე. მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს ორგანიზაციებს და სამართალდამცავ ორგანოებს ეფექტურ თანამშრომლობაში, რათა შემუშავებულ იქნეს კომპლექსური მიდგომა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად.

2. მხარეების მიერ მოცემული კონვენციის დებულებების ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად, კონვენცია აფუძნებს მონიტორინგის კონკრეტულ მექანიზმს.

### **მუხლი 2. კონვენციის მოქმედების სფერო**



1. მოცემული კონვენცია ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის, ოჯახში ძალადობას, რაც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე.
2. მხარეებს მოუწოდებენ, რომ კონვენცია გამოიყენონ ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლთან მიმართებაში. მოცემული კონვენციის დებულებების განხორციელებისას მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლ ქალებს.
3. მოცემული კონვენცია მოქმედებს როგორც მშვიდობიან პერიოდში, ისე შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

### **მუხლი 3. განმარტებები**

მოცემული კონვენციის მიზნებისთვის:

- ა. „ქალთა მიმართ ძალადობა“ აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში;
- ბ. „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.
- გ. „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს;
- დ. „ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე;
- ე. „მსხვერპლი“ გულისხმობს ყველა ფიზიკურ პირს, რომელიც „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებული ქმედების ობიექტია;
- ვ. „ქალები“ მოიცავს ასევე 18 წლამდე ასაკის გოგონებს.

### **მუხლი 4. ძირითადი უფლებები, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველა ადამიანის, განსაკუთრებით კი ქალების უფლება, იცხოვრონ ძალადობის გარეშე როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში.
2. მხარეები გმობენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას და დაუყოვნებლივ იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომას მისი პრევენციისათვის, კერძოდ:
  - თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებსა თუ სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაფიქსირებით და ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფით;
  - ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვით, მათ შორის, სანქციების გამოყენებით, სადაც ეს მიზანშეწონილია;
  - იმ კანონების გაუქმებით და პრაქტიკაზე უარის თქმით, რომლებიც დისკრიმინაციას უწევს ქალებს.
3. მხარეების მიერ ამ კონვენციის დებულებების განხორციელება, კერძოდ, მსხვერპლთა უფლებების



დამცავი ზომების მიღება, უზრუნველყოფილია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა სქესი, გენდერი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა, მიგრანტის თუ ლტოლვილის სტატუსი ან სხვა ნიშნით.

4. სპეციალური ზომები, რომლებიც აუცილებელია ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და მათი ასეთი ძალადობისგან დასაცავად, არ ითვლება დისკრიმინაციად მოცემული კონვენციის თანახმად.

#### **მუხლი 5. სახელმწიფო ვალდებულებები და სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღება**

1. მხარეები თავს იკავებენ ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ქმედების ჩადენისგან და უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, პასუხისმგებელი წარმომადგენლები, დაწესებულებები და სხვა პირები, რომლებიც სახელმწიფოს სახელით გამოდიან, მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას სათანადო ყურადღების გამოსაჩენად, რათა აღკვეთონ, გამოიძიონ, დასაჯონ და გაითვალისწინონ კომპენსაცია არასახელმწიფო პირების მიერ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების ჩადენისთვის.

#### **მუხლი 6. გენდერულად სენსიტიური პოლიტიკა**

მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ გენდერულ კონცეფციებს შეიტანენ მოცემული კონვენციის დებულებების შესრულებასა და მათი გავლენის შეფასებაში და მხარს დაუჭერენ და წარმატებით განახორციელებენ ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორუფლებიანობისა და ქალებისთვის შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართულ პოლიტიკურ კურსს.

### **თავი II. კომპლექსური პოლიტიკა და მონაცემთა შეგროვება**

#### **მუხლი 7. კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკა**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რათა მიიღონ და განახორციელონ სახელმწიფო დონეზე ქმედითი, კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ყველა შესაბამის ზომას ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისთვის, და რომელიც სისტემურ პასუხს გასცემს ქალთა მიმართ ძალადობას.

2. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ პირველ პუნქტში აღნიშნული პოლიტიკა მსხვერპლის უფლებებს ყველა განსახორციელებელი ზომის ამოსავალ წერტილად განიხილავდეს და რომ ეს პოლიტიკა განხორციელდეს შესაბამის უწყებებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის ქმედითი თანამშრომლობის საფუძველზე.

3. ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ზომებში უნდა შედიოდეს, სადაც მიზანშეწონილია, ყველა შესაბამისი მოქმედი პირი, როგორცაა, სახელმწიფო უწყებები, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი პარლამენტები და ხელისუფლების ორგანოები, ადამიანის უფლებათა დამცველი სახელმწიფო დაწესებულებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

#### **მუხლი 8. ფინანსური რესურსები**

მხარეები გამოყოფენ შესაბამის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს კომპლექსური პოლიტიკის, ზომებისა და პროგრამების, მათ შორის, ისეთების, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ, ადეკვატური განხორციელებისათვის ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით.

#### **მუხლი 9. არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება**



მხარეები აღიარებენ, ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ ყველა დონეზე იმ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალთა მიმართ ძალადობას და ქმედით თანამშრომლობას ამყარებენ ამ ორგანიზაციებთან.

## **მუხლი 10. მაკოორდინირებელი ორგანო**

1. მხარეები ნიშნავენ ან აფუძნებენ ერთ ან მეტ ოფიციალურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმ პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომლებიც მიმართულია ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ. ეს ორგანოები კოორდინირებას უწყვენ მე-11 მუხლში მითითებული მონაცემების შეგროვებას, აანალიზებენ და ავრცელებენ მის შედეგებს.

2. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ მუხლის შესაბამისად დანიშნულმა ან დაფუძნებულმა ორგანოებმა მიიღონ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია VIII თავის შესაბამისად.

3. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ მუხლის შესაბამისად დანიშნულ ან დაფუძნებულ ორგანოებს გააჩნდეთ იმის შესაძლებლობა, რომ უშუალო კავშირი ჰქონდეთ სხვა მხარეების შესაბამის ორგანოებთან და გააუმჯობესონ მათთან ურთიერთობები.

## **მუხლი 11. მონაცემთა შეგროვება და კვლევა**

1. ამ კონვენციის განხორციელების მიზნით მხარეები ვალდებულიებას იღებენ, რომ:

ა. რეგულარულად შეაგროვებენ შესაბამის დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით;

ბ. მხარს დაუჭერენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებულ კვლევას, რათა შესწავლილ იქნეს მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და შედეგები, შემთხვევათა რაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენის წილობრივი მაჩვენებელი, ასევე, ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების ეფექტურობა.

2. მხარეები ცდილობენ, რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები.

3. მხარეები ექსპერტთა ჯგუფებს მიაწვდიან, როგორც მითითებულია ამ კონვენციის 66-ე მუხლში, ამ მუხლის შესაბამისად შეგროვებულ ინფორმაციას, რათა წახალისონ საერთაშორისო თანამშრომლობა და ხელი შეუწყონ საერთაშორისო სტანდარტების შექმნას.

4. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ მუხლის შესაბამისად შეგროვებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის.

## **თავი III. პრევენცია**

### **მუხლი 12. ზოგადი ვალდებულებები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მხრიდან ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის პრევენციისათვის.

3. ამ თავის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ზომა ითვალისწინებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ პირების კონკრეტულ საჭიროებებს, რომლებიც მოწყვლადი გახდნენ



განსაკუთრებული გარემოებების გამო და ასეთი ზომების ყურადღების ცენტრში იქნება ძალადობის ყველა მსხვერპლის ადამიანის უფლებები.

4. მხარეები იღებენ საჭირო ზომებს საზოგადოების ყველა წევრის, განსაკუთრებით მამაკაცების და ბიჭების, წასახალისებლად, რათა მათ აქტიური წვლილი შეიტანონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციაში.

5. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები და ეგრეთ წოდებული „ღირსების საკითხი“ არ ჩაითვალოს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის გასამართლებელ მიზეზად.

6. მხარეები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალებისთვის შესაძლებლობების გაზრდისაკენ მიმართული პროგრამებისა და საქმიანობის მხარდასაჭერად.

### **მუხლი 13. საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა**

1. მხარეები ხელს უწყობენ ან ატარებენ რეგულარულად და ყველა დონეზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიებსა თუ პროგრამებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველ სახელმწიფო დაწესებულებებთან და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანოებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სადაც მიზანშეწონილია, ამაღლდეს ფართო საზოგადოების ცნობიერებისა და გაგების დონე ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის სხვადასხვა გამოვლინების, ბავშვებზე მათი შედეგებისა და ასეთი ძალადობის პრევენციის აუცილებლობის მიმართ.

2. მხარეები უზრუნველყოფენ ფართო საზოგადოებისათვის ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების პრევენციისათვის არსებული ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

### **მუხლი 14. განათლება**

1. მხარეები იღებენ, სადაც ეს მიზანშეწონილია, ყველა საჭირო ზომას ისეთი საკითხების შესახებ პედაგოგიური მასალის ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში და განათლების ყველა დონეზე ჩასართავად, როგორცაა, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, რომლებიც გათვლილი იქნება მსმენელთა მზარდი განვითარების შესაძლებლობებზე.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო ზომას პირველ პუნქტში მითითებული პრინციპების დასანერგად არაოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, სპორტში, კულტურული ღონისძიებების ჩატარების დროს, დასვენების პირობებში და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში.

### **მუხლი 15. სპეციალისტების პროფესიული მომზადება**

1. მხარეები უზრუნველყოფენ ან აუმჯობესებენ იმ შესაბამისი სპეციალისტების პროფესიულ მომზადებას, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა აქტის მსხვერპლთან ან ამ აქტების ჩამდენ პირებთან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ასეთი ძალადობის პრევენციას და გამოვლენას, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას, მსხვერპლთა საჭიროებებსა და უფლებებს, ასევე იმას, თუ როგორ აღიკვეთოს მეორადი ძალადობა.

2. მხარეები ხელს უწყობენ, რომ პირველ პუნქტში ნახსენები პროფესიული მომზადება მოიცავდეს მომზადებას კოორდინირებული მრავალუწყებრივი თანამშრომლობის საკითხებზე, რათა შესაძლებელი იყოს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების განსახილველად გადაცემისთვის კომპლექსური და შესაბამისი მიდგომის უზრუნველყოფა.



## **მუხლი 16. პროფილაქტიკური ღონისძიებები და სამკურნალო პროგრამები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა შეიმუშაონ ან მხარი დაუჭირონ ისეთ პროგრამებს, რომელთა მიზანია ოჯახში ძალადობის აქტების ჩამდენ პირებს ასწავლოს არაძალადობრივი ქცევა პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, მომავალში ძალადობის პრევენციისა და ძალადობრივი ქცევის ფორმების შეცვლის მიზნით.
2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა შეიმუშაონ ან მხარი დაუჭირონ სამკურნალო პროგრამებს, რომელთა მიზანია ძალადობის, განსაკუთრებით კი სექსუალური ძალადობის აქტების ჩამდენი პირების მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენცია.
3. პირველ და მე-2 პუნქტებში ნახსენები ზომების მიღებისას მხარეები უზრუნველყოფენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მსხვერპლის უსაფრთხოებას, მხარდაჭერას და ადამიანის უფლებებს და რომ, სადაც მიზანშეწონილია, ეს პროგრამები შემუშავდეს და განხორციელდეს მსხვერპლის მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციით.

## **მუხლი 17. კერძო სექტორისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მონაწილეობა**

1. მხარეები მოუწოდებენ კერძო სექტორს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და მათი დამოუკიდებლობის სათანადო დაცვით, რომ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში და ჩამოაყალიბონ ძირითადი პრინციპები და თვითრეგულირების სტანდარტები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მათი ღირსებისადმი პატივისცემის ღონის ამაღლების მიზნით.
2. მხარეები ავითარებენ და ხელს უწყობენ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად ბავშვებში, მშობლებსა და პედაგოგებში ჩვევებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოიქცნენ სექსუალური ან ძალადობრივი ხასიათის ღირსების შემლახველი შინაარსის შემცველ საინფორმაციო და საკომუნიკაციო გარემოში, რომელიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს.

### **თავი IV. დაცვა და მხარდაჭერა**

## **მუხლი 18. ზოგადი ვალდებულებები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას ყველა მსხვერპლის ძალადობის შემდგომი აქტებისაგან დასაცავად.
2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, თავისი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ისეთი სათანადო მექანიზმები, რომლებიც საჭიროა ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას შორის სასამართლო სისტემის, პროკურატურის, სამართალდამცავი ორგანოების, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებისა და ორგანოების ჩათვლით, წარმატებული თანამშრომლობისთვის ამ კონვენციის სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის და მხარდაჭერის მიზნით, მათ შორის, ზოგადი და სპეციალიზებული სახის მხარდაჭერის სამსახურებში ამ პირთა მიმართვის გზით, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კონვენციის მე-20 და 22-ე მუხლებში.
3. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ თავის შესაბამისად მიღებული ზომები:
  - ეფუძნებოდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის გენდერულ გაგებას და ყურადღებას ამახვილებდეს მსხვერპლის ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოებაზე;
  - ეფუძნებოდეს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს მსხვერპლთა, ძალადობის აქტების ჩამდენ პირებს, ბავშვებსა და ფართო სოციალური გარემოს შორის ურთიერთობას;
  - მიზნად ისახავდეს მეორადი ძალადობის თავიდან აცილებას;
  - მიზნად ისახავდეს ძალადობის მსხვერპლ ქალთა შესაძლებლობების გაფართოებას და ეკონომიკურ



დამოუკიდებლობას;

- საშუალებას იძლეოდეს, სადაც ეს მიზანშეწონილია, რომ დაცვისა და მხარდაჭერის სხვადასხვა სამსახური ერთსა და იმავე შენობაში იყოს განთავსებული;

- ითვალისწინებდეს მოწყვლადი პირების, მათ შორის, მსხვერპლი ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს და ხელმისაწვდომი იყოს მათთვის.

4. მომსახურების გაწევა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ბრალი წაუყენოს ან ჩვენება მისცეს ძალადობის აქტების ჩამდენი პირების წინააღმდეგ.

5. მხარეები იღებენ შესაბამის ზომებს თავისი ქვეყნების მოქალაქეებისთვის და სხვა მსხვერპლისთვის, რომლებსაც ასეთი დაცვა ეკუთვნით, საკონსულო ან სხვა სახის დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თავისი ვალდებულებების შესაბამისად.

## **მუხლი 19. ინფორმაცია**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლი იღებდეს ადეკვატურ და დროულ ინფორმაციას არსებული მხარდაჭერის სამსახურებისა და სამართლებრივი ზომების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე.

## **მუხლი 20. მხარდაჭერის საერთო სამსახურები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს ისეთ სამსახურებზე, რომელიც დაეხმარება მას ძალადობის აქტების შემდეგ ძალების აღდგენაში. ამ ზომებში უნდა შედიოდეს, აუცილებლობის შემთხვევაში, ისეთი მომსახურება, როგორცაა იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ფინანსური დახმარება, თავშესაფარი, განათლება, პროფესიული მომზადება და სამუშაოს მოძიებაში დახმარება.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე და რომ ამ სამსახურებს ჰქონდეს შესაფერისი რესურსები და ჰყავდეს სპეციალისტები, რომლებსაც გავლილი ექნებათ მომზადება მსხვერპლისთვის დახმარების გასაწევად და რომლებიც გადაამისამართებენ მათ შესაბამის სამსახურებში.

## **მუხლი 21. დახმარება ინდივიდუალური/კოლექტიური საჩივრების შედგენაში**

მხარეები უზრუნველყოფენ, რომ მსხვერპლს გააჩნდეს ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეს რეგიონული და საერთაშორისო ინდივიდუალური/კოლექტიური საჩივრების მოქმედ მექანიზმებზე. მხარეები ხელს შეუწყობენ მსხვერპლისადმი მგრძობიარე და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას ასეთი საჩივრების წარდგენის პროცესში.

## **მუხლი 22. მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახურები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომას, რათა ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის ყველა მსხვერპლისთვის უზრუნველყოფილი იყოს ან შეიქმნას, სათანადო გეოგრაფიული განაწილების დაცვით, გადაუდებელი, მოკლე და გრძელვადიანი სპეციალიზებული მხარდაჭერის სამსახურები.

2. მხარეები უზრუნველყოფენ ან ქმნიან ქალთა მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურებს ძალადობის მსხვერპლი ყველა ქალისთვის და მათი შვილებისთვის.

## **მუხლი 23. თავშესაფრები**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა გათვალისწინებული იყოს საკმარისი რაოდენობის შესაფერისი და იოლად ხელმისაწვდომი თავშესაფრების გახსნა





მსხვერპლისთვის, განსაკუთრებით, ქალებისა და მათი შვილებისთვის, უსაფრთხო საცხოვრებლის შეთავაზებისა და საკუთარი ინიციატივით, მათთან ურთიერთობის დამყარების მიზნით.

## **მუხლი 24. სატელეფონო ცხელი ხაზები**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნას 24 საათიანი (24/7) უფასო სატელეფონო ცხელი ხაზები, რომლებზეც კონფიდენციალურად ან მათი ანონიმურობის სათანადო დაცვით კონსულტაციებს გაუწევენ სატელეფონო ზარების ავტორებს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით.

## **მუხლი 25. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომას, რათა გათვალისწინებული იყოს საკმარისი რაოდენობის შესაფერისი და იოლად ხელმისაწვდომი დახმარების ცენტრების გახსნა გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის სამედიცინო და სასამართლო-სამედიცინო შემოწმებების ჩატარების, ტრავმის შემთხვევაში დახმარების და კონსულტაციის გაწევის უზრუნველყოფის მიზნით.

## **მუხლი 26. ბავშვი მოწმეების დაცვა და დახმარება**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა მსხვერპლისთვის დაცვისა და დახმარების მომსახურების გაწევისას სათანადოდ იყოს გათვალისწინებული ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის ბავშვი მოწმეების უფლებები და საჭიროებები.

2. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ზომები მოიცავს შესაფერის ასაკობრივ ჯგუფზე ორიენტირებულ ფსიქოსოციალურ კონსულტაციებს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის ბავშვი მოწმეებისთვის და სათანადოდ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

## **მუხლი 27. შეტყობინება**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა წახალისონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების ჩადენის მოწმე ნებისმიერმა პიროვნებამ, რომელსაც გონივრული საფუძველი გააჩნია ივარაუდოს, რომ მსგავსი აქტი შეიძლება განხორციელდეს ან რომ მოსალოდნელია ძალადობის აქტების განმეორება, ამის შესახებ შეატყობინოს კომპეტენტურ ორგანიზაციებს ან ხელისუფლების ორგანოებს.

## **მუხლი 28. სპეციალისტების მიერ შეტყობინება**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონფიდენციალურობის დაცვის წესებმა, რომლებსაც შიდა კანონმდებლობა აკისრებს ზოგიერთ სპეციალისტებს, ხელი არ შეუშალოს მათ, განსაზღვრულ გარემოებებში, შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანიზაციებს ან ხელისუფლების ორგანოებს, თუკი მათ გონივრული საფუძველი გააჩნიათ ივარაუდონ, რომ ჩადენილია ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის სერიოზული აქტი და რომ სავარაუდოდ, მოსალოდნელია შემდგომი ძალადობის სერიოზული აქტები.

## **თავი V. მატერიალური სამართალი**

### **მუხლი 29. სამოქალაქო სარჩელები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა მსხვერპლი უზრუნველყოფილი იყოს შესაფერისი სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებებით ძალადობრივი ქმედებების ჩამდენ პირებთან მიმართებაში.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა მსხვერპლი უზრუნველყოფილი იყოს, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, შესაფერისი სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებებით იმ სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავისი მოვალეობა, გაატარონ აუცილებელი პრევენციული ან დაცვითი



ზომები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

### **მუხლი 30. კომპენსაცია**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია ძალადობის აქტების ჩამდენი პირებისგან ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაულის გამო.

2. შესაფერისი სახელმწიფო კომპენსაცია გადაეცემა მათ, ვინც დაზარალდა სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობის შერყევის გამო იმ შემთხვევებში, თუ მიყენებული ზარალი ვერ იფარება სხვა წყაროებით, როგორცაა, ძალადობის აქტების ჩამდენი პირი, დაზღვევა ან სახელმწიფო სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფა. აღნიშნული პირობა ხელს არ უშლის მხარეებს, მოითხოვონ დამნაშავესგან მიღებული კომპენსაციის რეგრესის წესით დაბრუნება, თუ ეს რისკის ქვეშ არ აყენებს მსხვერპლის უსაფრთხოებას.

3. მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები უზრუნველყოფს კომპენსაციის გონივრულ ვადაში გაცემას.

### **მუხლი 31. მეურვეობა, მონახულების უფლებები და უსაფრთხოება**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვთა მეურვეობისა და მონახულების უფლებების განსაზღვრისას მხედველობაში იქნას მიღებული ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის შემთხვევები.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მეურვეობის ან მონახულების ნებისმიერი უფლების გამოყენება საფრთხეს არ უქმნიდეს მსხვერპლის ან ბავშვთა უფლებებსა და უსაფრთხოებას.

### **მუხლი 32. იძულებითი ქორწინების სამოქალაქო შედეგები**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებელი იყოს იძულებით გაფორმებული ქორწინებების ძალადაკარგულად გამოცხადება, გაუქმება ან განქორწინება მსხვერპლისათვის შეუფერებელი ფინანსური ან ადმინისტრაციული ტვირთის დაკისრების გარეშე.

### **მუხლი 33. ფსიქოლოგიური ძალადობა**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ისეთი წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით.

### **მუხლი 34. ადევნება**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს.

### **მუხლი 35. ფიზიკური ძალადობა**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ ფიზიკური ძალადობის აქტების ჩადენით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა.

### **მუხლი 36. სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევის შემდეგი ფორმები:



ა. სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;

ბ. ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება;

გ. სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განხორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები.

2. თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.

3. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველი პუნქტის დებულებები ასევე გამოიყენებოდეს იმ აქტების შემთხვევაშიც, რომლებიც ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობის საფუძველზე.

### **მუხლი 37. იძულებითი ქორწინება**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ზრდასრულ ადამიანს ან ბავშვს აიძულებს ქორწინებაში შესვლას.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ან ბავშვის შეტყუებას იმ მხარის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ის არ ცხოვრობს, ამ ზრდასრული ადამიანის ან ბავშვის ქორწინებაში შესვლის იძულების მიზნით.

### **მუხლი 38. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს შემდეგი წინასწარგანზრახული ქცევები:

ა. ქალის დიდი სასირცხვო ბაგეების, მცირე სასირცხვო ბაგეების ან კლიტორის მთლიანი ან ნაწილობრივი ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვა ნებისმიერი სახით დასახიჩრება;

ბ. ქალის იძულება ან დაყოლიება იმ მიზნით, რომ მას ჩაუტარდეს „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი აქტი;

გ. გოგონას წაქეზება, იძულება ან დაყოლიება იმ მიზნით, რომ მას ჩაუტარდეს „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი აქტი.

### **მუხლი 39. იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს შემდეგი წინასწარგანზრახული ქცევები:

ა. ქალისთვის აბორტის გაკეთება მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე;

ბ. ისეთი ქირურგიული ოპერაციის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ქალის ბუნებრივი რეპროდუქციის უნარის შეწყვეტას მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ან ამ პროცედურის გააზრების გარეშე.

### **მუხლი 40. სექსუალური შევიწროება**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის



დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნის გზით, დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს.

#### **მუხლი 41. ხელშეწყობა ან თანამონაწილეობა და მცდელობა**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა დანაშაულად ჩაითვალოს, როცა ჩადენილია წინასწარი განზრახვით, იმ დანაშაულთა ჩადენის ხელშეწყობა ან ჩადენაში თანამონაწილეობა, რომლებიც დადგენილია ამ კონვენციის 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, 37-ე მუხლების, 38-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და 39-ე მუხლის შესაბამისად.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა დანაშაულად ჩაითვალოს, როცა ჩადენილია წინასწარი განზრახვით, იმ დანაშაულთა ჩადენის მცდელობები, რომლებიც დადგენილია ამ კონვენციის 35-ე, 36-ე, 37-ე მუხლების, 38-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და 39-ე მუხლის შესაბამისად.

#### **მუხლი 42. ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, ეგრეთ წოდებული „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაულის მიუღებელი გამართლებები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის ჩადენასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის პროცესის დროს კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან ეგრეთ წოდებული „ღირსების საკითხი“ არ ჩაითვალოს ასეთი აქტების გასამართლებელ მიზეზად. აქ იგულისხმება, კერძოდ, ისეთი განცხადებები, რომ მსხვერპლმა დაარღვია შესაბამისი ქცევის კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ნორმები ან ადათ-წესები.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერი პირის მიერ ბავშვის წაქეზება პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი აქტის ჩადენისკენ, არ ამცირებს ამ პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩადენილი აქტებისთვის.

#### **მუხლი 43. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომა**

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ კონვენციის შესაბამისად განსაზღვრული დანაშაულისთვის დგება მსხვერპლსა და შესაბამისი ძალადობის აქტების ჩამდენ პირს შორის არსებული ურთიერთკავშირის ხასიათის მიუხედავად.

#### **მუხლი 44. იურისდიქცია**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა დაადგინონ განსჯადობა ამ კონვენციით დადგენილ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით, როდესაც ასეთი დანაშაული ჩადენილია:

ა. მათ ტერიტორიაზე; ან

ბ. მათი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ ხომალდზე; ან

გ. მათი ქვეყნის კანონების შესაბამისად რეგისტრირებული თვითმფრინავის ბორტზე; ან

დ. მათი ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქის მიერ; ან

ე. პირის მიერ, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი აქვს მათ ტერიტორიაზე.

2. მხარეები ეცდებიან, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რათა საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოაქციონ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაული, როდესაც ასეთი დანაშაული ჩადენილია მათი ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქის ან იმ პირის მიმართ, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი აქვს მათ ტერიტორიაზე.

3. ამ კონვენციის 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად დადგენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ყველა საჭირო



საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი იურისდიქცია არ ექვემდებარებოდეს იმ პირობას, რომლის თანახმადაც ეს აქტები დანაშაულად ითვლება იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი იყო ჩადენილი.

4. ამ კონვენციის 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად დადგენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი იურისდიქცია, პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების ნაწილში, არ ექვემდებარებოდეს იმ პირობას, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლის მიერ შეტყობინების შემდეგ ან იმ სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის მოწოდების საფუძველზე, სადაც ეს დანაშაული იყო ჩადენილი.

5. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოაქციონ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაული, იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდო დამნაშავე პირი მათ ტერიტორიაზე იმყოფება და ისინი არ გადასცემენ მას მეორე მხარეს მხოლოდ მისი მოქალაქეობის საფუძველზე.

6. როდესაც ერთზე მეტი მხარე აცხადებს პრეტენზიას ამ კონვენციის შესაბამისად, დადგენილი სავარაუდო დანაშაულის მიმართ იურისდიქციაზე, მონაწილე მხარეები, როცა მიზანშეწონილი იქნება, კონსულტაციებს გაივლიან ერთმანეთთან სისხლისსამართლებრივი დევნისათვის ყველაზე შესაფერისი იურისდიქციის დასადგენად.

7. საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების დარღვევის გარეშე, ეს კონვენცია არ გამორიცხავს რომელიმე მხარის მიერ ნებისმიერი სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელებას თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 45. სანქციები და ზომები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციების საშუალებით, ამ დანაშაულთა სერიოზულობის გათვალისწინებით. ეს სანქციები მოიცავს, სადაც ეს მიზანშეწონილია, თავისუფლების აღკვეთას, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ექსტრადიცია.

2. ძალადობის აქტების ჩამდენ პირებთან მიმართ მხარეებმა შეიძლება მიიღონ სხვა ზომაც, კერძოდ:

- მსჯავრდებული პირების მონიტორინგი და ზედამხედველობა;
- მშობლის უფლების ჩამორთმევა, თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომელთა შორის შეიძლება იყოს მსხვერპლის უსაფრთხოება, ვერ იქნება გარანტირებული სხვა ნებისმიერი გზით.

#### **მუხლი 46. დამამძიმებელი გარემოებები**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, თუ ისინი უკვე არ წარმოადგენენ დანაშაულის შემადგენლობის ნაწილს, შეიძლება, შიდა კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების თანახმად, მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც დამამძიმებელი გარემოებები ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულის მიმართ განაჩენის განსაზღვრის დროს:

- ა. დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის მიერ ან პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება;
- ბ. დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილი იქნა არაერთხელ;
- გ. დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც გარკვეული გარემოებების გამო მოწყვლადია;



დ. დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან ბავშვის თანდასწრებით;

ე. დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად;

ვ. დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა;

ზ. დანაშაული ჩადენილი იყო იარაღით ან იარაღის მუქარის გამოყენებით;

თ. დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს;

ი. დანაშავე ადრეც ყოფილა ნასამართლვეი მსგავსი ხასიათის დანაშაულისთვის.

#### **მუხლი 47. კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილი განაჩენი**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ განაჩენის გამოტანისას შესაძლებელი იყოს იმ საბოლოო განაჩენების გათვალისწინება, რომლებიც გამოტანილია კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციით დადგენილ დანაშაულთა მიმართ.

#### **მუხლი 48. დავების მოგვარებასთან დაკავშირებული სავალდებულო ალტერნატიული პროცესების ან განაჩენის გამოტანის აკრძალვა**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა აიკრძალოს დავების მოგვარებასთან დაკავშირებული სავალდებულო ალტერნატიული პროცესები, მათ შორის, შუამავლობა და მორიგება, ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობასთან მიმართებით.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯარიმის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სათანადოდ იყოს გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლებლობა, შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები მსხვერპლის მიმართ.

#### **თავი VI. გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, პროცესუალური კანონი და დაცვითი ზომები**

#### **მუხლი 49. ზოგადი ვალდებულებები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოძიება და სასამართლო საქმის წარმოება ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით ხორციელდებოდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და, ამასთან, მხედველობაში მიიღებოდეს მსხვერპლის უფლებები სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად და ძალადობის გენდერული გაგების სათანადო გათვალისწინებით, ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულთა ქმედითი გამოძიების ჩატარებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად.

#### **მუხლი 50. დაუყოვნებლივი რეაგირება, პრევენცია და დაცვა**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პასუხისმგებელი სამართალდამცავი უწყებები სწრაფად და სათანადოდ რეაგირებდნენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობაზე მსხვერპლისთვის ადეკვატური და დაუყოვნებლივი დაცვის შეთავაზების გზით.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პასუხისმგებელი სამართალდამცავი უწყებები სწრაფად და სათანადოდ ახორციელებდნენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის პრევენციასა და მისგან დაცვას, მათ შორის, პროფილაქტიკური ოპერატიული ზომების გამოყენებას და მტკიცებულების შეგროვებას.



## **მუხლი 51. რისკის შეფასება და რისკის მართვა**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფატალური რისკის, სიტუაციის სერიოზულობისა და ძალადობის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასება ხდებოდეს ხელისუფლების ყველა შესაბამისი ორგანოს მიერ რისკის მართვისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, უსაფრთხოებისა და დახმარების კოორდინირებულად უზრუნველყოფის მიზნით.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველ პუნქტში აღნიშნული შეფასება სათანადოდ ითვალისწინებდეს, გამოძიებისა და დაცვითი ზომების გამოყენების ყველა სტადიაზე იმ ფაქტს, რომ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების ჩამდენი პირები ფლობენ ცეცხლსასროლ იარაღს ან ხელი მიუწვდებათ მასზე.

## **მუხლი 52. ამკრძალავი ორდერი**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, უშუალო საფრთხის შემთხვევაში, გასცენ ორდერი იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენმა პირმა დატოვოს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილი საკმარისი დროით და აუკრძალოს დამნაშავეს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფი პიროვნების საცხოვრებელ ადგილში შესვლა ან მათთან კონტაქტი. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ზომები პრიორიტეტის სახით, მიზნად ისახავს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

## **მუხლი 53. შემაკავებელი ან დამცავი ორდერი**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი შემაკავებელი ან დამცავი ორდერები გაიცემოდეს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის მსხვერპლთა მიმართებით.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველ პუნქტში აღნიშნული შემაკავებელი ან დამცავი ორდერები:

- უზრუნველყოფდეს უშუალო დაცვას და მსხვერპლს არ აკისრებდეს შეუფერებელ ფინანსურ ან ადმინისტრაციულ ტვირთს;
- გაიცემოდეს გარკვეული ვადით ან მათ შეცვლამდე ან გაუქმებამდე;
- აუცილებლობის შემთხვევაში, გაიცემოდეს ეხ პარტე საფუძველზე და ძალაში შედიოდეს დაუყოვნებლივ;
- ხელმისაწვდომი იყოს სხვა სამართლებრივი პროცედურებისგან დამოუკიდებლად, ან მათზე დამატებით;
- დასაშვები იყოს შემდგომ სამართლებრივ პროცედურებში შესატანად.

3. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველი პუნქტის შესაბამისად გაცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერების დარღვევა იწვევდეს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სისხლისსამართლებრივ ან სხვა იურიდიულ სანქციებს.

## **მუხლი 54. გამოძიება და მტკიცებულება**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესისას, მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, ნებადართული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება საქმის არსს და აუცილებელია.



## მუხლი 55. ex parte და ex officio სასამართლო პროცესები

1. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ კონვენციის 35-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად დადგენილი დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა, მათი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე კონსულტანტებს ჰქონდეთ მსხვერპლის დახმარების ან/და მხარდაჭერის შესაძლებლობა, მათი თხოვნით, იმ საგამოძიებო და სასამართლო პროცესების დროს, რომლებიც ეხება ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულს.

## მუხლი 56. დაცვითი ზომები

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების, მათ შორის, მათი როგორც მოწმეების განსაკუთრებული საჭიროებების დასაცავად საგამოძიებო და სასამართლო პროცესების ყველა სტადიაზე, კერძოდ კი:

ა. მათი, ასევე მათი ოჯახებისა და მოწმეების დაცვის უზრუნველყოფით, დაშინების, შურისძიებისა და განმეორებითი ძალადობისაგან;

ბ. მსხვერპლის ინფორმირების უზრუნველყოფით იმის შესახებ, ისეთ შემთხვევებში მაინც, როდესაც მსხვერპლი და მათი ოჯახები შეიძლება საფრთხეში იყვნენ, რომ დამნაშავე გაქცეულია ციხიდან ან გათავისუფლებულია დროებით ან საბოლოოდ;

გ. მათი ინფორმირებით, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მათი უფლებებისა და მათ ხელთ არსებული მომსახურებების შესახებ, ასევე, მათი საჩივრის შემდგომი ეტაპების, ბრალდებების, გამოძიების ან სასამართლო პროცესის ზოგადი მიმდინარეობისა და ამასთან დაკავშირებით მათი როლის შესახებ, ასევე, მათი საქმის განხილვის შედეგების შესახებ;

დ. მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემით, შიდა კანონმდებლობის პროცესუალური წესების შესაბამისად, რომ მოუსმინონ მათ, წარადგინონ მტკიცებულება და გამოხატონ თავისი შეხედულებები, საჭიროებები და გულისტკივილი, პირდაპირ ან შუამავლის საშუალებით, და რომ ეს ყველაფერი განხილულ იქნეს;

ე. მსხვერპლისთვის შესაფერისი მხარდაჭერის მომსახურების მიწოდებით ისე, რომ მათი უფლებები და ინტერესები სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და გათვალისწინებული;

ვ. იმის უზრუნველყოფით, რომ შეიძლება მიღებულ იქნა ზომები მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის დასაცავად;

ზ. იმის უზრუნველყოფით, რომ შეძლებისდაგვარად, თავიდან იყოს აცილებული მსხვერპლსა და დამნაშავე პირებს შორის კონტაქტი სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოს შენობებში;

თ. მსხვერპლისთვის დამოუკიდებელი და კომპეტენტური თარჯიმნების უზრუნველყოფით, როდესაც მსხვერპლი მონაწილეობს სასამართლო პროცესში ან როდესაც იგი წარადგენს მტკიცებულებას;

ი. მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემით, მათი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, რომ სასამართლო დარბაზში ჩვენება მისცენ დაუსწრებლად ან, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო დამნაშავე პირის არყოფნის დროს, კერძოდ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია.

2. მსხვერპლი ბავშვი ან ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის მოწმე ბავშვი უზრუნველყოფილია, როცა მიზანშეწონილია, სპეციალური დაცვითი ზომებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.





## **მუხლი 57. სამართლებრივი დახმარება**

მხარეები მსხვერპლისათვის უზრუნველყოფენ სამართლებრივი დახმარებისა და უფასო იურიდიული დახმარების უფლებას, მათი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## **მუხლი 58. სასარჩელო ხანდაზმულობა**

მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა, ამ კონვენციის 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად დადგენილ დანაშაულთან დაკავშირებით ნებისმიერი სასამართლო პროცესის დასაწყებად, მოქმედებდეს იმ ვადის განმავლობაში, რაც საკმარისი და განსახილველი დანაშაულის სიმძიმის თანაზომიერი იქნება, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სასამართლო საქმის წარმატებით აღძვრა მსხვერპლის სრულწლოვნების ასაკის მიღწევის შემდეგ.

## **თავი VII. მიგრაცია და თავშესაფარი**

### **მუხლი 59. ბინადრობის სტატუსი**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს, რომლის ბინადრობის სტატუსი დამოკიდებულია მეუღლის ან პარტნიორის ბინადრობის სტატუსზე, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ქორწინების ან პარტნიორული ურთიერთობების დარღვევის შემთხვევაში მიენიჭოს, განსაკუთრებით რთული გარემოებების დროს, განცხადების საფუძველზე, დამოუკიდებელი ბინადრობის ნებართვა ქორწინების ან პარტნიორული ურთიერთობების ხანგრძლივობის მიუხედავად. დამოუკიდებელი ბინადრობის ნებართვის მინიჭებისა და ხანგრძლივობის პირობები განისაზღვრება შიდა კანონმდებლობით.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლმა შეიძლება მოიპოვოს ქვეყნიდან გამეგებასთან დაკავშირებული იმ სასამართლო პროცესის შეჩერების უფლება, რომელიც დაწყებული იყო ბინადრობის სტატუსის გამო და რომელიც დამოკიდებულია მეუღლის ან პარტნიორის ბინადრობის სტატუსზე, როგორც აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, რათა შესაძლებლობა მიეცეთ მათ, განცხადება შეიტანონ დამოუკიდებელი ბინადრობის ნებართვის ასაღებად.

3. მხარეები მსხვერპლზე გასცემენ განახლებად ბინადრობის ნებართვებს ქვემოთ ჩამოთვლილი ორიდან ერთ-ერთ ან ორივე სიტუაციაში:

ა. როდესაც კომპეტენტური ორგანო თვლის, რომ მათი დარჩენა აუცილებელია პირადი სიტუაციიდან გამომდინარე;

ბ. როდესაც კომპეტენტური ორგანო თვლის, რომ მათი დარჩენა აუცილებელია გამომიებასა და სისხლის სამართლის პროცესში კომპეტენტურ ორგანოებთან მათი თანამშრომლობის მიზნით.

4. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ იძულებითი ქორწინების მსხვერპლმა, რომლებიც სხვა ქვეყანაში ჩამოიყვანეს ქორწინების მიზნით და რომლებმაც ამის შედეგად დაკარგეს ბინადრობის სტატუსი ქვეყანაში, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობენ, შეძლოს ამ სტატუსის აღდგენა.

### **მუხლი 60. თავშესაფრის მოთხოვნა გენდერული ნიშნის საფუძველზე**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით აღიარებული იყოს, როგორც სამართლებრივი დევნის ფორმა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ასევე, როგორც სერიოზული ზარალის ფორმა, რომელიც მოითხოვს დამატებით/სუბსიდიარულ დაცვას.

2. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ კონვენციის თითოეული საფუძვლის განხილვის დროს



მხედველობაში იყოს მიღებული განმარტება, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორს და როდესაც დგინდება, რომ არსებობს სამართლებრივი დევნის საშიშროება ერთი ან რამდენიმე ასეთი საფუძვლის გამო, მთხოვნელებს ენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი შესაბამისი მოქმედი დოკუმენტების შესაბამისად.

3. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა თავშესაფრის მაძიებელთათვის შემუშავებულ იქნეს მიღების პროცედურები და მხარდაჭერის სამსახურები, გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით, ასევე, გენდერული სახელმძღვანელო პრინციპები და თავშესაფრის მიცემის პროცედურები გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დროს.

### **მუხლი 61. იძულებით რეპატრიაციაზე უარის თქმა**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იძულებით რეპატრიაციაზე უარის თქმის პრინციპის დასაცავად საერთაშორისო სამართლის საფუძველზე არსებული ვალდებულებების შესაბამისად.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლნი, რომლებიც საჭიროებენ დაცვას, მათი სტატუსის ან საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში არ დააბრუნონ არც ერთ ისეთ ქვეყანაში, სადაც მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა ან სადაც შეიძლება, რომ ისინი გახდნენ წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლნი.

### **თავი VIII. საერთაშორისო თანამშრომლობა**

### **მუხლი 62. ზოგადი პრინციპები**

1. მხარეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან ამ კონვენციის დებულებების თანახმად და სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში თანამშრომლობის სფეროში შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონალური ინსტრუმენტების, ერთიანი ან ორმხრივი კანონმდებლობისა და შიდა კანონმდებლობის საფუძველზე შეთანხმებული ღონისძიებების გამოყენებით, მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში იმ მიზნით, რომ:

ა. აღკვეთონ, ებრძოლონ და სისხლისსამართლებრივად დევნონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობა;

ბ. დაიცვან და დახმარება გაუწიონ მსხვერპლს;

გ. ჩაატარონ გამოძიება ან სასამართლო პროცესი ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულთან დაკავშირებით;

დ. აღასრულონ მხარეთა სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი შესაბამისი სამოქალაქო და სისხლის სამართლის განჩინებები, მათ შორის, დამცავი ორდერები.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი ისეთი დანაშაულის მსხვერპლმა, რომელიც ჩადენილია იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც ის არ ცხოვრობს, შეძლოს საჩივრის შეტანა თავისი საცხოვრებელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში.

3. თუ მხარე, რომელიც ეწევა ორმხრივ სამართლებრივ დახმარებას სისხლის სამართლის საქმეებში, ექსტრადიციასა ან ამ კონვენციის მონაწილე მეორე მხარის მიერ გამოტანილი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის განჩინებების აღსრულებაში, რაც განპირობებულია ხელშეკრულების არსებობით, იღებს თხოვნას ასეთი სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ იმ მხარისაგან, რომელთანაც მსგავსი ხელშეკრულება არ გაუფორმებია, მას შეუძლია ეს კონვენცია ჩათვალოს, როგორც სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ მან განახორციელოს ორმხრივი სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებში, ექსტრადიციასა ან ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ გამოტანილი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის განჩინებების



აღსრულებაში.

4. მხარეები ისწრაფვიან, რომ, როცა ეს მიზანშეწონილი იქნება, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღკვეთა შეტანილი იყოს მესამე სახელმწიფოების განვითარებისთვის გათვალისწინებულ დახმარების პროგრამებში, მათ შორის, მესამე სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმებით, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მსხვერპლის დაცვის ხელშეწყობის მიზნით.

### **მუხლი 63. რისკის ქვეშ მყოფ პირებთან დაკავშირებული ზომები**

როცა მხარეს, მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი იმყოფება მის მიმართ ამ კონვენციის 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლებში მითითებული ძალადობის აქტების ჩადენის უშუალო რისკის ქვეშ მეორე მხარის ტერიტორიაზე, სასურველია, რომ იმ მხარემ, რომელსაც ეს ინფორმაცია გააჩნია, დაუყოვნებლივ გადასცეს იგი მეორე მხარეს სათანადო დაცვითი ზომების მიღების უზრუნველყოფის მიზნით. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია მოიცავს დეტალურ მონაცემებს რისკის ქვეშ მყოფ პირთან დაკავშირებით არსებული დაცვითი ღონისძიებების შესახებ.

### **მუხლი 64. ინფორმაცია**

1. თხოვნის მიმღები მხარე სასწრაფოდ აწოდებს ინფორმაციას თხოვნის გამგზავნ მხარეს ამ თავის საფუძველზე განხორციელებული ქმედების საბოლოო შედეგის შესახებ. თხოვნის მიმღები მხარე ასევე სასწრაფოდ აწოდებს ინფორმაციას თხოვნის გამგზავნ მხარეს იმ ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც შეუძლებელს ხდის სასურველი ქმედების განხორციელებას ან სავარაუდოდ, საგრძნობლად დააყოვნებს მას.

2. მხარეს შეუძლია, თავისი შიდა კანონმდებლობის ფარგლებში და წინასწარი თხოვნის გარეშე, მეორე მხარეს გაუგზავნოს საკუთარი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია, როცა იგი თვლის, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება დაეხმაროს მიმღებ მხარეს ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციაში ან ასეთ სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული გამოძიებებისა ან სასამართლო პროცესების დაწყებასა ან განხორციელებაში, ან რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ამ მხარის მიერ თანამშრომლობის შემოთავაზება მოცემული თავის შესაბამისად.

3. მხარე, რომელიც იღებს ნებისმიერ ინფორმაციას მე-2 პუნქტის თანახმად, ასეთ ინფორმაციას გადასცემს თავის კომპეტენტურ ორგანოებს საქმის აღძვრის მიზნით, თუ ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება, ან იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია მხედველობაში იქნეს მიღებული შესაბამის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებზე.

### **მუხლი 65. მონაცემთა დაცვა**

პირადი მონაცემები ინახება და გამოიყენება მხარეების მიერ „პირადი მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების დროს ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციით“ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად (ETS. 108).

## **თავი IX. მონიტორინგის მექანიზმი**

### **მუხლი 66. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი**

1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში „გრევიო“) ახორციელებს მხარეების მიერ ამ კონვენციის შესრულების მონიტორინგს.

2. „გრევიო“ შედგება მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 15 წევრისაგან, გენდერული და გეოგრაფიული ბალანსის და მრავალდისციპლინური გამოცდილების გათვალისწინებით. „გრევიოს“ წევრებს 4 წლის ვადით, რომელიც ერთხელ განახლდება, ირჩევს მხარეთა კომიტეტი მხარეების მიერ წარდგენილი



კანდიდატებიდან, რომლებიც შეირჩევიან მხარეების მოქალაქეებიდან.

3. ათი წევრის პირველადი არჩევნები ტარდება ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. 5 დამატებითი წევრის არჩევნები ტარდება 25-ე რატიფიკაციის ან კონვენციასთან მიერთების შემდეგ.

4. „გრევიოს“ წევრების არჩევა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა. მათი შერჩევა ხდება გამჭვირვალე პროცედურის შესაბამისად მაღალი მორალური თვისებების მქონე პიროვნებებიდან, რომლებიც ცნობილნი არიან თავისი აღიარებული კომპეტენციით ისეთ სფეროებში, როგორცაა ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, მსხვერპლის დახმარება და დაცვა, ან რომლებმაც გამოავლინეს პროფესიონალური გამოცდილება ამ კონვენციის მოქმედების ფარგლებში შემავალ სფეროებში;

ბ. „გრევიოს“ არცერთი ორი წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე სახელმწიფოს მოქალაქე;

გ. ისინი უნდა წარმოადგენდნენ ძირითად სამართლებრივ სისტემებს;

დ. ისინი უნდა წარმოადგენდნენ შესაბამის მონაწილეებს და უწყებებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროში;

ე. ისინი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საკუთარი თანამდებობების რანგში და თავისი ფუნქციების განხორციელებისას არიან დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი, და შეუძლიათ თავისი მოვალეობების ეფექტურად შესრულება.

5. „გრევიოს“ წევრების არჩევის პროცედურას განსაზღვრავს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მხარეებთან კონსულტაციისა და მათი ერთსულოვანი თანხმობის მიღების შემდეგ, ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში.

6. „გრევიო“ ამტკიცებს საკუთარი საქმიანობის წესებს.

7. „გრევიოს“ წევრები და დელეგაციების სხვა წევრები, რომლებიც ვიზიტებს ახორციელებენ ქვეყნებში, როგორც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-9 და მე-14 პუნქტებში, სარგებლობენ ამ კონვენციის დანართში დადგენილი პრივილეგიებით და იმუნიტეტებით.

## **მუხლი 67. მხარეთა კომიტეტი**

1. მხარეთა კომიტეტის შემადგენლობაში არიან კონვენციის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები.

2. მხარეთა კომიტეტს იწვევს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. მისი პირველი სხდომა იმართება ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში „გრევიოს“ წევრების არჩევის მიზნით. კომიტეტი მომდევნო სხდომებს ატარებს, როცა ამას მოითხოვს მხარეთა ერთი მესამედი, მხარეთა კომიტეტის პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი.

3. მხარეთა კომიტეტი ამტკიცებს საკუთარი საქმიანობის წესებს.

## **მუხლი 68. პროცედურა**

1. მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს წარუდგენენ „გრევიოს“ მიერ მომზადებული კითხვარის საფუძველზე, ანგარიშს იმ საკანონმდებლო და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კონვენციის დებულებების ამოქმედებას, „გრევიოს“ მიერ განსახილველად.

2. „გრევიო“ პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილ ანგარიშს განიხილავს შესაბამისი მხარის წარმომადგენლებთან ერთად.

3. შეფასების შემდგომი პროცედურები დაყოფილია ეტაპებად, რომელთა ხანგრძლივობას



განსაზღვრავს „გრევიო“. ყოველი ეტაპის დასაწყისში „გრევიო“ არჩევს კონკრეტულ დებულებებს, რომელთა საფუძველზეც უნდა ჩატარდეს შეფასების პროცედურა და აგზავნის კითხვარს.

4. „გრევიო“ განსაზღვრავს შესაბამის საშუალებებს მონიტორინგის ამ პროცედურის ჩასატარებლად. კერძოდ, შეფასების ყოველი ეტაპისთვის მას შეუძლია დაამტკიცოს კითხვარი, რომელიც გახდება მხარეთა მიერ კონვენციის განხორციელების შეფასების პროცედურის საფუძველი. ეს კითხვარი ეგზავნება ყველა მხარეს. მხარეები პასუხობენ ამ კითხვარს, ასევე, ინფორმაციის თაობაზე „გრევიოს“ მხრიდან შემოსულ ნებისმიერ მოთხოვნას.

5. „გრევიომ“ ამ კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება მიიღოს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან, ასევე ადამიანთა უფლებათა დამცველი ეროვნული ორგანოებიდან.

6. „გრევიო“ ყურადღებით განიხილავს სხვა რეგიონალური და საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან და ორგანოებიდან მიღებულ ამ კონვენციის მოქმედების სფეროებთან დაკავშირებულ არსებულ ინფორმაციას.

7. შეფასების ყოველი ეტაპისთვის კითხვარის დამტკიცების დროს, „გრევიო“ ყურადღებით განიხილავს მხარეებში მონაცემთა შეგროვებისა და კვლევის არსებულ პროცესებს, როგორც აღნიშნულია ამ კონვენციის მე-11 მუხლში.

8. „გრევიომ“ ამ კონვენციის განხორციელების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიიღოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიისგან, საპარლამენტო ასამბლეიდან და ევროპის საბჭოს შესაბამისი სპეციალიზებული ორგანოებიდან, ასევე, სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე შექმნილი ორგანოებიდან. ამ ორგანოებში წარდგენილი საჩივრები და მათი განხილვის შედეგები მიეწოდება „გრევიოს“.

9. „გრევიოს“ შეუძლია სუბსიდიარულ საფუძველზე ორგანიზება გაუკეთოს, ეროვნულ ორგანოებთან თანამშრომლობით და დამოუკიდებელი ეროვნული ექსპერტების მხარდაჭერით, ქვეყნებში ვიზიტებს, თუ მოპოვებული ინფორმაცია არასაკმარისია ან მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ ვიზიტებისას „გრევიოს“ შეიძლება დახმარება გაუწიონ კონკრეტული დარგების სპეციალისტებმა.

10. „გრევიო“ ამზადებს ანგარიშის პროექტს, რომელიც მოიცავს იმ დებულებების შესრულების ანალიზს, რომლებსაც ეფუძნება შეფასება, ასევე, მის მოსაზრებებს და წინადადებებს იმის თაობაზე, თუ რა გზით შეუძლია შესაბამის მხარეს გამოვლენილი პრობლემების მოგვარება. ანგარიშის პროექტი კომენტარებისთვის ეგზავნება იმ მხარეს, რომელსაც უტარდება შეფასება. ამ კომენტარებს „გრევიო“ ითვალისწინებს თავისი ანგარიშის მომზადების დროს.

11. ყველა მიღებული ინფორმაციისა და მხარეთა კომენტარების საფუძველზე, „გრევიო“ ამზადებს თავის ანგარიშს და დასკვნებს იმის თაობაზე, თუ რა ზომები მიიღო შესაბამისმა მხარემ ამ კონვენციის დებულებების შესასრულებლად. ეს ანგარიში და დასკვნები ეგზავნება შესაბამის მხარეს და მხარეთა კომიტეტს. „გრევიოს“ ანგარიში და დასკვნები, შესაბამისი მხარის საბოლოო კომენტარებთან ერთად, ქვეყნდება მათი დამტკიცებისთანავე.

12. 1-8 პუნქტებში განხილული პროცედურის დარღვევის გარეშე, მხარეთა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს, „გრევიოს“ ანგარიშისა და დასკვნების საფუძველზე, ამ მხარისათვის გამიზნული რეკომენდაციები ა) იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს „გრევიოს“ დასკვნების განსახორციელებლად, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თარიღის დასადგენად, და ბ) რომელთა მიზანია ამ მხარესთან თანამშრომლობის ხელშეწყობა ამ კონვენციის სათანადო განხორციელებისთვის.

13. თუ „გრევიო“ იღებს სარწმუნო ინფორმაციას, რომელიც მიანიშნებს ისეთ სიტუაციაზე, როდესაც პრობლემები დაუყოვნებელ ყურადღებას მოითხოვს კონვენციის სერიოზული დარღვევის ფაქტების პრევენციისა ან მათი მასშტაბების ან რაოდენობის შეზღუდვის მიზნით, მაშინ მან შეიძლება მოითხოვოს, რომ სასწრაფოდ წარუდგინონ სპეციალური ანგარიში, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის სერიოზული, მასობრივი ან განმეორებადი შემთხვევების პრევენციის მიზნით მიღებულ ზომებს.



14. ითვალისწინებს რა შესაბამისი მხარის მიერ წარდგენილ ინფორმაციას, ასევე მის ხელთ არსებულ ნებისმიერ სხვა სარწმუნო ინფორმაციას, „გრევიოს“ შეუძლია დანიშნოს თავისი ერთი ან მეტი წევრი გამოკვლევის ჩასატარებლად და „გრევიოსთვის“ სასწრაფო ანგარიშის წარსადგენად. მოთხოვნის შემთხვევაში და კონკრეტული მხარის თანხმობით, გამოკვლევა შეიძლება მოიცავდეს მის ტერიტორიაზე ვიზიტს.

15. მე-14 პუნქტში აღნიშნული გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესწავლის შემდეგ, „გრევიო“ ამ მონაცემებს გადასცემს შესაბამის მხარეს და, როცა მიზანშეწონილია, მხარეთა კომიტეტსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ნებისმიერ კომენტართან და რეკომენდაციასთან ერთად.

### **მუხლი 69. ზოგადი რეკომენდაციები**

„გრევიოს“ შეუძლია მიიღოს, როცა მიზანშეწონილია, ზოგადი რეკომენდაციები ამ კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

### **მუხლი 70. პარლამენტის მონაწილეობა მონიტორინგის პროცესში**

1. ეროვნულ პარლამენტებს სთხოვენ, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ კონვენციის განხორციელების მიზნით მიღებული ზომების მონიტორინგის პროცესში.
2. მხარეები „გრევიოს“ ანგარიშებს წარუდგენენ თავიანთ ეროვნულ პარლამენტებს.
3. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას სთხოვენ, რომ რეგულარულად შეაფასოს ამ კონვენციის განხორციელების შედეგები.

## **თავი X. სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან ურთიერთობა**

### **მუხლი 71. სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან ურთიერთობა**

1. წინამდებარე კონვენცია ზიანს არ აყენებს იმ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რომელთა მონაწილენიც არიან ან გახდებიან ამ კონვენციის მონაწილე მხარეები და რომლებიც შეიცავენ დებულებებს ამ კონვენციით რეგულირებადი საკითხების შესახებ.
2. ამ კონვენციის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები ამ კონვენციაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, მისი დებულებების შევსების ან განმტკიცების ან მასში ჩადებული პრინციპების დაცვის ხელშეწყობის მიზნით.

## **თავი XI. კონვენციაში ცვლილებების შეტანა**

### **მუხლი 72. ცვლილებები**

1. რომელიმე მხარის ნებისმიერი წინადადება ამ კონვენციაში ცვლილების შეტანის თაობაზე ეცნობება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს და მის მიერ ეგზავნება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ ხელმომწერ ქვეყანას, ნებისმიერ მხარეს, ევროპის კავშირს, 75-ე მუხლის დებულებების თანახმად, ამ კონვენციაზე ხელის მოსაწერად მოწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს და იმ ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელსაც შესთავაზეს ამ კონვენციასთან შეერთება 76-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი იხილავს შემოთავაზებულ ცვლილებას და, კონვენციის მონაწილე იმ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, შეუძლია მიიღოს ეს ცვლილება უმრავლესობით, რომელიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-20 მუხლის „დ“ პუნქტში.
3. მინისტრთა კომიტეტის მიერ მე-2 პუნქტის თანახმად მოწონებული ნებისმიერი ცვლილების ტექსტი იგზავნება მხარეებთან მისაღებად.
4. მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის ყველა მხარის მიერ



გენერალური მდივნისათვის თანხმობის გამოხატვის შემდეგ ერთთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

## თავი XII. დასკვნითი დებულებანი

### მუხლი 73. კონვენციის შედეგები

ამ კონვენციის დებულებები ზიანს არ აყენებს ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და იმ სავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტების დებულებებს, რომლებიც უკვე ძალაშია ან შეიძლება შევიდეს ძალაში, რომელთა საფუძველზეც პირებს, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის დროს, ენიჭებათ ან შეიძლება მიენიჭოთ უფრო ხელსაყრელი უფლებები.

### მუხლი 74. დავების მოგვარება

1. ნებისმიერი ისეთი დავის მონაწილე მხარეები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ კონვენციის დებულებების გამოყენებას ან განმარტებასთან დაკავშირებით, მის მოგვარებას პირველ რიგში ეცდებიან მოლაპარაკების, მორიგების, არბიტრაჟის ან მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მიღებული მშვიდობიანი მოგვარების სხვა ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით.

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია შეიმუშაოს დავების მოგვარების პროცედურები დავის მონაწილე მხარეებისთვის, თუ ისინი თანახმა იქნებიან.

### მუხლი 75. ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის, არა-წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ მის შემუშავებაში და ევროპის კავშირისთვის.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

3. ეს კონვენცია ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე კონვენციის 10 ხელმომწერი მხარის მიერ, მინიმუმ 8 ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ჩათვლით, მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად თანხმობის გამოხატვის თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

4. პირველ პუნქტში აღნიშნული იმ ნებისმიერი სახელმწიფოს ან ევროპის კავშირის მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს ამ კონვენციის სავალდებულოდ აღიარებაზე თავის თანხმობას, კონვენცია ძალაში შედის მის მიერ რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირების თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

### მუხლი 76. კონვენციასთან შეერთება

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, ამ კონვენციის მხარეებთან კონსულტაციისა და მათი ერთსულოვანი თანხმობის მიღების შემდეგ, მოიწვიოს ევროპის საბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო, რომელიც არ მონაწილეობდა ამ კონვენციის შემუშავებაში, რათა ის მიუერთდეს ამ კონვენციას ევროპის საბჭოს წესდების მე-20 მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებისა და მხარეთა იმ წარმომადგენლების ერთსულოვანი ხმის მიცემის საფუძველზე, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მინისტრთა კომიტეტის მუშაობაში.

2. მიერთების მსურველი ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, ეს კონვენცია ძალაში შედის მიერთების დოკუმენტის ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან დეპონირების თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

### მუხლი 77. ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროპის კავშირს შეუძლია, კონვენციის ხელმოწერის ან მისი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტების დეპონირების დროს, დააზუსტოს



ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ამ კონვენციის მოქმედება.

2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით, განავრცოს ამ კონვენციის მოქმედების სფერო ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე, რომელიც დაზუსტებულია განცხადებაში და რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც ის არის უფლებამოსილი, რომ იკისროს ვალდებულებები. ასეთი ტერიტორიის მიმართ, ეს კონვენცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი განცხადების მიღების თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასეთ განცხადებაში დაზუსტებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნეს გამოტანილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი შეტყობინებით. განცხადების უკან გამოტანა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

## **მუხლი 78. დათქმები**

1. დაუშვებელია ამ კონვენციის ნებისმიერი დებულების მიმართ რაიმე დათქმის გაკეთება, მე-2 და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროპის კავშირს შეუძლია, კონვენციის ხელმოწერის ან მისი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტების დეპონირების დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით გააცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას, არ გამოიყენოს, ან გამოიყენოს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში ან პირობებში, ის დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია:

- 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში;

- 44-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, მე-3 და მე-4 პუნქტებში;

- 55-ე მუხლის პირველ პუნქტში 35-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს;

- 58-ე მუხლში 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლებთან მიმართებაში;

- 59-ე მუხლში.

3. ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროპის კავშირს შეუძლია, კონვენციის ხელმოწერის ან მისი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტების დეპონირების დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით, გააცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას, გაითვალისწინოს არასისხლისსამართლებრივი სანქციები, სისხლისსამართლებრივი სანქციების ნაცვლად, 33-ე და 34-ე მუხლებში მითითებულ ქცევებთან დაკავშირებით.

4. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს დათქმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით. განცხადება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების თარიღიდან.

## **მუხლი 79. დათქმების მოქმედების ვადა და მათი გადახედვა**

1. 78-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული დათქმები მოქმედებს ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 5 წლის განმავლობაში შესაბამის მხარესთან მიმართებაში. ამასთან, ასეთი დათქმები შეიძლება განახლდეს იმავე ხანგრძლივობის პერიოდებით.

2. დათქმის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 18 თვით ადრე, ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნო შესაბამის მხარეს ატყობინებს ამ ვადის ამოწურვის შესახებ. ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს სამი თვისა, მხარე ატყობინებს გენერალურ მდივანს, რომ იგი ძალაში ტოვებს თავის დათქმას, ცვლილება





შეაქვს მასში ან აუქმებს მას. შესაბამისი მხარისაგან ასეთი შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში გენერალური სამდივნო ატყობინებს ამ მხარეს, რომ მისი დათქმა ექვსი თვის ვადით ავტომატურად გაგრძელებულად ითვლება. თუ შესაბამისი მხარე ვერ შეატყობინებს თავისი სურვილის შესახებ, ძალაში დატოვოს ან ცვლილება შეიტანოს დათქმაში ამ ვადის გასვლამდე, დათქმა წყვეტს თავის მოქმედებას.

3. თუ მხარე აკეთებს დათქმას 78-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, იგი „გრევიოს“ უგზავნის, დათქმის განახლებამდე ან მოთხოვნით, ახსნა-განმარტებას დათქმის ძალაში დატოვების დასაბუთების თაობაზე.

### **მუხლი 80. დენონსირება**

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, უფლება აქვს მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი შეტყობინებით.

2. ასეთი დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

### **მუხლი 81. შეტყობინება**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მის შემუშავებაში, ნებისმიერ ხელმომწერ ქვეყანას, ნებისმიერ მხარეს, ევროპის კავშირს და ამ კონვენციასთან მიერთების მიზნით მოწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს აცნობებს:

ა. ყოველი ხელმოწერის;

ბ. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების ყოველი დოკუმენტის დეპონირების;

გ. 75-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ყოველი თარიღის;

დ. 72-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ყოველი ცვლილების და ამ ცვლილების ძალაში შესვლის თარიღის;

ე. 78-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული და გაუქმებული ყოველი დათქმის;

ვ. მე-80 მუხლის დებულებების შესაბამისად კონვენციის ყოველი დენონსირების;

ზ. ამ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმოწერის, შესახებ.

ამის დასტურად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელმომწერებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია სტამბოლში, 2011 წლის 11 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დეპონირებული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ კონვენციის შემუშავებაში, ევროპის კავშირს და ამ კონვენციასთან მიერთების მიზნით მოწვეულ ნებისმიერ ქვეყანას.

### **დანართი – პრივილეგიები და იმუნიტეტები (მუხლი 66)**

1. მოცემული დანართი ეხება კონვენციის 66-ე მუხლში ნახსენებ „გრევიოს“ წევრებს, ასევე, ქვეყანაში ვიზიტად მყოფი დელეგაციების სხვა წევრებს. ამ დანართის მიზნისთვის, ტერმინი „ქვეყანაში ვიზიტად მყოფი დელეგაციების სხვა წევრები“ მოიცავს ამ კონვენციის 68-ე მუხლის მე-9 პუნქტში ნახსენებ დამოუკიდებელ ეროვნულ ექსპერტებს და სპეციალისტებს, ევროპის საბჭოს თანამშრომლებს და ევროპის საბჭოს მიერ დაქირავებულ თარჯიმნებს, რომლებიც თან ახლავან „გრევიოს“ ქვეყნებში ვიზიტების დროს.



2. „გრევიოს“ წევრები და ქვეყანაში ვიზიტად მყოფი დელეგაციების სხვა წევრები, ქვეყნებში ვიზიტების მომზადებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მათი ფუნქციების შესრულებისას, ასევე, შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით, და ამ ფუნქციებიდან გამომდინარე ახორციელებენ ვიზიტებს, გააჩნიათ შემდეგი პრივილეგიები და იმუნიტეტები:

ა. იმუნიტეტი პირადი დაპატიმრების ან დაკავების და მათ პირად ბარგზე ყადაღის დადებისაგან, ასევე, იმუნიტეტი წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების და მათი უფლებამოსილების განხორციელებისას შესრულებული ყველა ქმედების გამო მათ წინააღმდეგ ყველა სახის სამართალწარმოებისაგან;

ბ. ნებისმიერი შეზღუდვისაგან გათავისუფლება გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით მათი საცხოვრებელი ქვეყნიდან გასვლისას და დაბრუნებისას და იმ ქვეყანაში შესვლისას და გასვლისას, სადაც ისინი ახორციელებენ თავის ფუნქციებს, ასევე უცხოელთა რეგისტრაციისაგან იმ ქვეყანაში, რომელსაც ისინი სტუმრობენ ან რომლის გავლითაც მგზავრობენ თავისი ფუნქციების განხორციელების დროს.

3. თავისი ფუნქციების შესრულებისას განხორციელებული მოგზაურობების პერიოდში, „გრევიოს“ წევრები და ქვეყანაში ვიზიტად მყოფი დელეგაციების სხვა წევრები, საბაჟო და სავალუტო კონტროლის სფეროში, სარგებლობენ იმავე შეღავათებით, რომლებითაც სარგებლობენ უცხო ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები თავისი ოფიციალური მოვალეობების დროებით შესრულების დროს.

4. ამ კონვენციის განხორციელების შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლებიც გადააქვთ „გრევიოს“ წევრებსა და ქვეყანაში ვიზიტად მყოფი დელეგაციების სხვა წევრებს, ხელშეუხებელია იმდენად, რამდენადაც ისინი ეხება „გრევიოს“ საქმიანობას. დაუშვებელია „გრევიოს“ ოფიციალური კორესპონდენციისა ან „გრევიოს“ წევრებისა და ქვეყანაში ვიზიტად მყოფი დელეგაციების სხვა წევრების ოფიციალური მიმოწერის შეჩერება ან ცენზურა.

5. იმისათვის, რომ „გრევიოს“ წევრებისა და ქვეყანაში სტუმრად მყოფი დელეგაციების სხვა წევრებისთვის უზრუნველყოფილი იყოს აზრის გამოხატვის სრული თავისუფლება და სრული დამოუკიდებლობა მათ მიერ მოვალეობების შესრულების დროს, წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების და მათი მოვალეობების განხორციელებისას შესრულებული ყველა ქმედების გამო მათ წინააღმდეგ სამართალწარმოებისაგან იმუნიტეტის მოქმედება გაგრძელდება იმის მიუხედავად, რომ შესაბამისი პირები აღარ ასრულებენ ასეთ მოვალეობებს.

6. პრივილეგიები და იმუნიტეტები ამ დანართის პირველ პუნქტში ნახსენებ პირებს ენიჭებათ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი ფუნქციების განხორციელების დამოუკიდებლობა „გრევიოს“ ინტერესებიდან გამომდინარე და არა მათი პირადი სარგებელისთვის. ამ დანართის პირველ პუნქტში ნახსენები პირების იმუნიტეტს აუქმებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ისეთ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მისი აზრით, ეს იმუნიტეტი ხელს შეუშლიდა სამართლის აღსრულებას და როდესაც მისი გაუქმება არ დააზარალებს „გრევიოს“ ინტერესებს.

